შეერთებული შტატების მიერ ახალგაზრდა დემოკრატიის მხარდაჭერა და კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოსთან 1996-2002 წლებში

თამაზ დავითაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული მასწავლებელი

ელ-ფოსტა: tamazdavitadze1994@gmail.com

ORCID: https://orcid.org/0009-0009-0469-1949

აბსტრაქტი. ოფიციალურ ვაშინგტონს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კავკასიის რეგიონთან ურთიერთობის პოლიტიკურ კურსში თავისი ინტერესები ჰქონდა. ძირითადად მისი ფორმულირება შემდეგგვარია: ა) რეგიონში შემავალ ქვეყნებში დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული ფასეულობების განმტკიცებით, შეერთებული შტატები კავკასიაში რუსეთის გავლენას შეასუსტებდა, თავისი გავლენების გაფართოების ხარჯზე; ბ) კონტროლს გაუწევდა ირან-რუსეთის ბალანსს. ამ ორი ქვეყნის ალიანსი, კონტროლის გარეშე შეუზღუდავად, ოფიციალური ვაშინგტონისთვის მეტად სახიფათო იყო; გ) არ მისცემდა რუსეთს ენერგეტიკული რესურსების ერთპიროვნულად მართვის საშუალებას, კასპიის რეგიონის ენერგო რესურსების ტრანზიტის დივერსიფიკაცია; გააძლიერებდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ მიმართულებას და რეგიონს თავისი სტრატეგიული მოქმედებების პლაცდარმად გადააქცევდა.

„ევროპის ქვეყნები და ამერიკის შეერთებული შტატები, დარჩნენ ფრთხილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდედ, საწყის ეტაპზე კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობისას, მათთვის სხვადასხვა გარემოებების გამო, პირველ ეტაპზე მთავარ პრიორიტეტს ბალტიისპირეთის ქვეყნები წარმოადგენდნენ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატებიც და დასავლეთ ევროპის წამყვანი სახელმწიფოებიც, მხარს უჭერდნენ საბჭოთა კავშირის შემავალ ყველა მოკავშირე სახელმწიფოში, დემოკრატიული ფასეულობებისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებასა და განვითარებას. ცნობილი ამერიკელი მკვლევარი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში ევროპის და რუსეთის საქმეთა სპეციალური ასისტენტი ფიონა ჰილი აღნიშნავს, რომ ბილ კლინტონის მმართველობის დროს ვაშინგტონის ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი სტრატეგიული გახდა, რაც ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების თავისუფლების პირველ წლებში არ იყო და აშშ-ის ინტერესის სფეროში ენერგოსექტორი მოექცა. სტატეგიული თანამშრომლობის გაღრმავება იწყება, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ შეცვლილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა კავშირის დაშლა; სტრატეგიული პარტნიორობა; კავკასია; შეერთებული შტატები; საქართველო; 9/11 ტერორისტული აქტი.

***

შესავალი. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის ოფიციალური ურთიერთობები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩამოყალიბდა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, აშშ-მ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა, 1991 წლის 25 დეკემბერს. ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს საერთაშორისო აღიარებისა და დასავლურ სამყაროსთან დაახლოების პროცესში.

ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, 1992 წლის 23 აპრილს თბილისში გაიხსნა ამერიკის საელჩო, რაც ორ ქვეყანას შორის პირდაპირი თანამშრომლობის დაწყების სიმბოლო გახდა. იმავე წელს საქართველოს ეწვია აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, რაც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი მაღალი რანგის ამერიკელი ოფიციალური პირის ვიზიტი იყო.

1990-იანი წლების დასაწყისში აშშ საქართველოს ძირითადად ეხმარებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაში, დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობაში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო იმ პერიოდში მძიმე შიდა პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტების წინაშე იდგა, ამერიკა მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერდა.

მეთოდები. წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომი ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს; წყაროს ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, სისტემური ანალიზი.

მსჯელობა. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, მსოფლიოში პოლიტიკური რუკის ცვლილებები განხორციელდა, გაჩნდა „ახალი მსოფლიო რუკა". გეოპოლიტიკური ცვლილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, საბჭოთა კავშირის დაშლა. საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ 15 დამოუკიდებელი ქვეყანა წარმოიშვა, მათ შორის საქართველოც. სსრკ–ის დაშლის შემდეგ, მსოფლიო ბიპოლარული აღარ იყო, უპირობა ლიდერი სახელმწიფოს როლი, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოირგო. თავდაპირველად ამერიკის შეერთებული შტატები, ყურადღებით აკვირდებოდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებს, საწყის ეტაპზე, პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას არ ჩქარობდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან. [1]

საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობის ახალი ეტაპი იწყება შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბილ კლინტონის მმართველობის მეორე ვადის პერიოდში. როცა ოფიცალური ვაშინგტონის დაინტერესება: კავკასიის და უფრო მეტად საქართველოს მიმართ, სტრატეგიული ურთიერთობის ხასიათს ატარებდა. ბილ კლინტონის მმართველობის დროს ვაშინგტონის ინტერესები სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი სტრატეგიული გახდა, რაც ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების თავისუფლების პირველ წლებში არ იყო და აშშ-ის ინტერესის სფეროში ენერგო სექტორი მოექცა. ამერიკული და რუსული მხარეები შეთანხმდნენ და კასპიის ზღვის აუზის ხუთი ენერგო პროექტიდან ორი რუსეთის ფედერაციის მოთხოვნის გათვალისწინებით განხორციელდა. ესენია: ბაქო-ნოვოროსიისკი და ყაზახეთი-ნოვოროსიისკის ენერგო პროექტები; რაც შეეხება დანარჩენ სამს: ბაქო-სუფსის ნავთობის მილსადენს, სამხრეთ კავკასიის გაზის მილსადენსა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს: აღნიშნული პროექტები რუსეთის გვერდის ავლით, სამხრეთ კავკასიის რეგიონში განხორციელდა. ამით: აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ენერგო ქოლგა მაინც შეიქმნა, რაც დასავლეთის აქტიური ქმედებების განხორციელების გარეშე ამ რეგიონში უბრალოდ შეუძლებელი გახლდათ. ამრიგად: სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაციის საკმაოდ დიდი გავლენის მიუხედავად, შტატებმა მაინც მოახერხა რეგიონში სასურველი შედეგების მიღწევა, ეს ფაქტი ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობების გასაღრმავებლად უმნიშვნელოვანესი იყო. ორმხრივი თანამშრომობა მიუთითებდა აშშ-ის დაინტერესებას და კავკასიის რეგიონის მიმართ აშშ-ის მხრიდან პრიორიტეტების გამოკვეთას. ამერიკელი დიპლომატი ბაქო-სუფსის ნავთობსადენზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა, ვინაიდან მისი აზრით, ამ პროექტზე ორი ქვეყნის მჭიდრო ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობასთან ერთად, დამოკიდებული იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტრანზიტული კორიდორის შექმნა. რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს, ელჩის შეფასებით, ეს პროგრამა, საგრძნობლად შეცვლიდა მომავალში პოლი-

[1] ყორანაშვილი, ს. (2009). დისერტაცია.

ტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას რეგიონში. მისივე განცხადებით, მილსადენის აშენება კომერციული მიზნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომაც კერძო სექტორის როლი გადამწყვეტი იყო ეკონომიკური, პოლიტიკური და კომერციული ფაქტორების გაერთიანებისა და საერთო სარგებლის შექმნისთვის.

ორმხრივი ურთიერთობების ახალი ეტაპის დაწყებაზე მიანიშნებდა, ოფიციალური ვაშინგტონის მხრიდან, მიწვევა საქართველოს პრეზიდენტის და სამთავრობო დელეგაციის. 1998 წელს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით მიწვეული იყო ვაშინგტონში. შეხვედრა გაიმართა აშშ-ის შინაგანი ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსთან, ჯონ მალხაზ შალიკაშვილთან. შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიცაა კავკასიაში სტაბილურობის მიზნით პრობლემების და აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრის მექანიზმები. ამავე ვიზიტის დროს პენტაგონში გაფორმდა შეთანხმება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ორ ქვეყანას შორის სამხედრო თანამშრომლობას. ვაშინგტონში, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ვიზიტის დროს გადაწყდა შეერთებული შტატების სენატორთა და კონგრესმენთა გააქტიურება საქართველოსთან მიმართებაში. ამ გეგმის შედეგად უკვე აგვისტოს თვეში თბილისს საპასუხო ვიზიტით ეწვია აშშ-ის სენატორთა და კონგრესმენთა მიერ შექმნილი მცირე ჯგუფი (ს. კალაპანი, ჯ. მაკკეინი, ფ. გრემი, ქ. ბ. პაჩისონი და სხვ). ორმხრივი ვიზიტები და ორი ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირთა შეხვედრები, ურთიერთობების გაღმავებასა და ორ ქვეყანას შორის სტატეგიული თანამშრომლობის ჩამოყალიბებისკენ მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯები გახლდათ. [2]

საუკუნის ბოლოს 1999 წელს, შეერთებულ შტატებში მიიღეს, საქართველოს საკითხთან დაკავშირებული, აშშ–ის კონგრესის მიერ ძირითადი რეზოლუცია, რაც თანამშრომლობის გაღმავების მნიშვნელოვანი დოკუმენტი გახლდათ.

აშშ-ის სენატის მიერ 1999 წელს მიღებულ იქნა „აბრეშუმის გზის, სტრატეგიული აქტი“. აღნიშნულ პროექტში ჩართული არიან, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის შემდეგი ქვეყნები: სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი.

1999 წელს სტამბოლმა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის უმაღლეს სამიტს უმასპინძლა. შეხვედრაში 54 სახელმწიფო და რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობდა. სამიტს დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბილ კლინტონი. ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოშიც კარგად ესმოდათ, რომ რეგიონში უსაფრთხოების გარეშე, საერთაშორისო პროექტები აზრს დაკარგავდა. სამიტის მიზანი ევროპის ახალი გეოპოლიტიკური მოწყობის საკითხის განხილვა იყო; დიდი ყურადღება დაეთმო ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის თემასაც. საქართველოსთვის, სტამბოლის სამიტი რამდენიმე საკითხით გამოირჩა. მათგან აღსანიშნავია: 1. საქართველო, როგორც ევროპული უსაფრთხოების სივრცის ნაწილი; 2. რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზები საქართველოში; 3. საქართველო და საუკუნის პროექტები. სამიტის ფარგლებში ხელი მოეწერა დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაფინანსებული და მხარდაჭერილი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი რეალიზაციაში შევიდა. შეერთებულმა შტატებმა, 2000 წლის ბიუჯეტში 10 მილიონი დოლარი გამოყო საქართველოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზებისა და ჭარბი შეიარაღების გატანის ხელშეწყობის მიზნით.

ოფიციალური ვაშინგტონის და საქართველოს თანამშრომლობა მეოცე საუკუნის ბოლოს შემდეგი მიმართულებებით შემოიფარგლებოდა: 1. ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება. 2.

[2] მოსაშვილი, ა: (2020) დისერტაცია .

პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ფარგლებში საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის გაღმავება და სამომავლო პერსპექტივების განხილვა; 3. დახმარების გაწევა, თავდაცვის რესურსების სწორ მენეჯმენტსა და თავდაცვის დაგეგმარების რეფორმების შემუშავების პროცესში. 4. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, საჰაერო სივრცის მართვის საკითხებზე ორმხრივი დიალოგის გაგრძელება. „ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის აეროკოსმოსურ ინიციატივაში“ საქართველოს ჩართვის შესაძლებლობების განხილვა; 5. საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გარემოს დაცვის საკითხებზე დიალოგის დაწყება.[3] ოფიციალური თბილისისა და ოფიციალური ვაშინგტონის ურთიერთობა 1996 –2000 წლებში, პროგრესული, ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული გახლდათ. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის მოხდა, ურთიერთობების გაღრმავება და ძირითადი სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა (თ.დ).

კაცობრიობის ისტორიაში, ყველაზე დიდი ტერორისტული აქტი 2001 წლის 11 სექტემბერს მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. „მსოფლიო ვეღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც აქამდე იყო“ – 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, ეს სიტყვები არაერთხელ გვსმენია. ამ მოვლენამ თანამედროვე ამერიკის ისტორია, ორ ნაწილად გაყო: 11 სექტემბრამდე და 11 სექტემბრის შემდეგ. ამ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახლდათ, ჯორჯ ბუში. ახალმა პრეზიდენტმა სრულიად ახალი საგარეო პოლიტიკა დაიწყო საქართველოსა და მსოფლიოსთან მიმართებაში. 2001 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს საქართველოსთან: თავდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკისა და სხვა მნიშვნელოვან სფეროებში თანამშრომლობა წარმოადგენდა. ამას მოწმობდა 2001 წელს ჯორჯიის შტატში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრა. საქართველოსა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა 2001 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში იყო დაგეგმილი. ბუნებრივია, თარიღმა გადაიწია 11 სექტემბრის საშინელი ტერაქტის გამო. მსოფლიოს შოკიდან გამოსასვლელად დრო სჭირდებოდა. ქართულ და ამერიკულ მხარეებს შორის მჭიდრო კოორდინაცია მაინც გრძელდებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონში რთული და დაძაბული, თითქმის 24-საათიანი, სამუშაო გრაფიკი ჰქონდათ, საქართველოსა და აშშ-ის პირველ პირებს შორის ოფიციალური შეხვედრა მაინც შედგა. 7 ოქტომბერს მთელი მსოფლიოს მედიის ყურადღება ავღანეთისკენ იყო მიპყრობილი. სამყაროში ომის დაწყების ჰორიზონტი მოჩანდა. მალე შეერთებული შტატები პირველ საჰაერო დარტყმას განახორციელებდა მათ წინააღმდეგ, რომლებმაც გაბედეს და 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტით, მსოფლიოს ზესახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატებიც კი, თუნდაც 1 დღით დაუცველი გახადეს. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, მათთვის ასეთ უკიდურესად დაძაბულ და მნიშვნელოვან საათებში, ედუარდ შევარდნაძეს დაურეკა და შემდეგი აუწყა: „პრეზიდენტმა ბუშმა დამავალა გადმოგცეთ, რომ ორიოდ საათში ჩვენ დავიწყებთ სამხედრო ოპერაციას ავღანეთში. დარტყმები განხორციელდება მხოლოდ ალ-ქაიდასა და სამხედრო ობიექტებზე“, რაც სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ, ორი ქვეყნის ურთიერთობების ისტორიაში და სტრატეგიული პატრნიორობის ფარგლებში ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების ჩამოყალიბების მთავარი ფაქტორი გახლდათ. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიო შეიცვალა, ოფიციალურმა ვაშინგტონმა, საქართველოსთან მნიშვნელოვნად გააფართოვა ურთიერთობა. შეერთებული შტატებისთვის საქართველო ღირებული პარტნიორი და მოკავშირე გახდა.[4] მომდევნო 2002 წელს ეს თანამშრომლობა უკვე მნიშვნელო-

[3] მოსაშვილი, ა: (2020) დისერტაცია .

[4] შურღულაია, თ. თბილისი (2009).

ვანი მიმართულებებით გაღმავდა და აშშ-ის ქმედითი დახმარების ნაბიჯებით გამოიკვეთა: კერძოდ საქართველოში პანკისის რეგიონში დახმარების გაწევით, რითაც საქართველომ თავიდან აიცილა ორი სეპარატისტული რეგიონის შემდეგ, მესამე კონფლიქტის კერის გაჩენა ჩვენს ქვეყანაში. (თ.დ)

დასკვნა. განხილულ დოკუმენტებთან დაკავშირებით, სხვადასხვა ინტერპრეტაციის არსებობის მიუხედავად, ერთი რამ ფაქტია; 1992 წლიდან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს დიდ ყურადღებას უთმობდა ამერიკის შეერთებული შტატები. სწორედ ამ პოლიტიკურმა ურთიერთობებმა ჩაუყარა საფუძველი და განავითარა თანამედროვე ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, რომელიც სამხრეთ კავკასიაში საერთო პარტნიორული ინტერესებით გამორჩეულია. საქართველოს მიმართ წარმოებული, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემის ფუნქციონირების შეპირისპირებამ მის ფუნქციონირებასთან, სამხრეთ კავკასიის დანარჩენი სახელმწიფოების მიმართ, საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა მთლიანად რეგიონში, აშშ-ის პოლიტიკისათვის დამახასიათებელი ზოგადი მოდელები. აშშ-ის პოლიტიკა საქართველოსთან დაკავშრებით, მიმართულია: მისთვის დამახასიათებელი დემოკრატიული ღირებულებების შენარჩნებასა და განმტკიცებაზე, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, დასავლეთი დაინტერესებულია ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის პერიფერიაზე სტაბილურობით, ხოლო საქართველო კავკასიაში სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგრამ იმისათვის, რომ საქართველომ სტაბილურობისკენ მიმართული გავლენა იქონიოს კავკასიაში, აუცილებელია მისი საკუთარი უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრა. აშშ აქტიურად ახორციელებს ენერგეტიკული და გეოპოლიტიკური პოლიტიკის აღრევას, რათა ამიერკავკასიაში ყოვლისმომცველი რეგიონალური სტაბილურობა დამკვიდრდეს.

უკვე დიდი ხანია სამხრეთ კავკასიის რეგიონში საქართველო შეერთებული შტატების მთავარი, გეოპოლიტიკურად ერთგული მოკავშირეა. შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები გახდა, საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის, ერთ-ერთი უმთავრესი საერთაშორისო გარანტორი.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშიძე ზ. (2000). *ნატო და საქართველო; უტოპიიდან რეალობისაკენ* . თბილისი.

აშშ-ის სენატორები ვიზიტით საქართველოში. (1997 წლის 13 08). *საქართველოს რესპუბლიკა*.

გეგეშიძე, ა. (1999). *გეოპოლიტიკა*. თბილისი .

დოღონაძე, დ. (2002). *საქართველოს: გზა საერთაშორისო აღიარებიდან საერთაშორისო თანამეგობრობისაკენ, ,*. თბ., „მეცნიერება“.

თედოზაშვილი, გ. (1997 წლის 19 02). „კავკასია სტრატეგიული მოკავშირის ძიებაში“.

მოსაშვილი, ა. (2020). *„ქართულ-ამერიკული პოლიტიკური ურთიერთობები 1992-2002 წწ“. [სადისერტაციო ნაშრომი].* თბილისი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ა. დ. (Ed.). (n.d.). *ქართულ-ამერიკული პოლიტიკურ-სამხედრო ურთიერთობები 1995-2002 წწ*. Retrieved 05 13, 2025

ქოჩორაძე, მ. (2008). „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა აშშ-ის სპეციალური ინტერესების თვალსაწიერში,“ . *ამერიკის შესწავლის საკითხები წიგნი მე-5, თსუ-I*.

ყორანაშვილი, ს. (2009). *„პოლიტიკური ურთიერთობები საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატებსა და რუსეთის ფედერაციას შორის 1991-1997 წ.წ.“ [სადისერტაციო ნაშრომი].* თბილისი: თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

შევარდნაძე, ე. (1997). *After meeting with President Clinton, President Shevardnadze talked to reporters about U.S.-Georgia relations*. Retrieved 08 14, 2025, from www.c-span.org: https://www.c-span.org/video/?88260-1/us-georgia-relations

შურღულაია, თ. (2007). *აშშ-ის საგარეო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში.* თბილისი.

შურღულაია, თ. (2009). *საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ისტორიულ-პოლიტიკური ასპექტები.* თბილისი.

Bush, G. (1992b). *Nomination of Kent N. Brown To Be United States Ambassador to the Republic of Georgia.* Bush, .

Bush, G. (2002). *საქართველო ნატო-ში მიილტვის*. Retrieved from civil.ge,: https://old.civil.ge/eng/

Chikvaidze, A. (1992). Baker Visits Georgia to Help a Friend; Retrieved from www.nytimes.com

Clinton, J. (1994a;). U.S.-Georgia Joint Statement, c-span.org . Retrieved from c-span.org .